ელინისტური ხანის კოლხური კერამიკული ჭურჭელი ნოქალაქევის ახალი აღმოჩენების მიხედვით

მაგისტრანტი

ნინო ხუციშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დიმიტრი ახვლედიანი

სამეცნიერო თანახელმძღვანელი: ნიკოლოზ მურღულია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც სამეცნიერო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიერული ან ციტირებული სათანადო წესების დაცვის შესაბამისად.

მაგისტრანტი

ნინო ხუციშვილი

29.06.2022

მადლობა

დიდ მადლობას ვუხდი საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის შუა საუკუნეების არქეოლოგიური კოლექციების დასავლეთ საქართველოს ფონდის კურატორს თამილა კაპანაძეს.

სსიპ ქუთაისის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორსა და თანამშრომლებს.

აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის ვანის არქეოლოგიური მუზეუმის დირექტორსა და თანამშრომლებს.

ჩემი სამაგისტრო ნაშრომის თანახელმძღვანელს, არქეოლოგიის დოქტორს ნიკოლოზ მურღულიას, ნაშრომის წერისას მასალების მოძიებაში დახმარებისთვის და სამეცნიერო კონსულტაციების გაწევისათვის.

ჩემი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ დიმიტრი ახვლედიანს ნაშრომზე მუშაობის დროს მოცემული რჩევებისა და კომენტარებისთვის.

ნოქალაქევის ქართულ-ინგლისური არქეოლოგიურ ექსპედიციას საველე დოკუმენტაციაზე და საარქივო მასალებზე წვდომისთვის.

ნაშრომში მოცემული კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის N – MR-21-157]

სარჩევი

აბსტრაქტი vi

Abstract vii

შესავალი 1

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა 4

მეთოდოლოგია 7

თავი I. ნოქალაქევის ნაქალაქარის არქეოლოგიური შესწავლის ისტორია 9

თავი II. ნოქალაქევის ელინისტური ხანის კერამიკული ჭურჭელი 13

II.1. სამეურნეო ჭურჭელი 13

II. 2. სამზარეულო ჭურჭელი 18

II. 3. ჭურჭლის ყურები 21

II. 4. სუფრის ჭურჭელი 24

II. 5. ორნამენტი 28

II. 6. დეკორატიული ჭურჭელი 29

თავი III. პარალელური მასალა კოლხეთის ელინისტური ხანის არქეოლოგიური ძეგლებიდან 31

III. 1. საყანჩიას ნამოსახლარი 31

III. 2. ქუთაისი 34

III. 3. ვანი 39

III. 4. ფიჭვნარი 46

III .5. დაბლაგომი 49

III. 6. დაფნარი 51

III. 7. რიონ-სუფსის ორმდინარეთი - (წიფნარი, ზენობანი, დიდვანი, ქვემოხეთი, ზემო ფარცხმა, ბუკისციხე და სხვა) 53

III.8. ფარცხანაყანევი..... 55

დასკვნა 59

ბიბლიოგრაფია 61

ტაბულების აღწერილობა 64

ტაბულები 67

აბსტრაქტი

ნაშრომი ეძღვნება ელინისტური ხანის კოლხეთის ადგილობრივი კერამიკული ჭურჭლის შესწავლას. კვლევისას კერამიკული ნაწარმი დაჯგუფდა ფუნქციის მიხედვით, ხოლო სხვადასხვა დანიშნულების ჭურჭელი დახარისხდა ტიპების მიხედვით. ნაშრომში განხილულია ნოქალაქევის ქართულ-ინგლისური არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2003-2019 წლებში მოპოვებული მასალა, როგორც ნამოსახლარებიდან, ასევე სამაროვნებიდან. ამასთანავე, განხილულია კოლხეთის სხვა ძეგლებზე გამოვლენილი, იმავე პერიოდის, კერამიკული ჭურჭელი.

კვლევა დაიყო რამდენიმე ეტაპად, რომელიც გულისხმობდა ბიბლიოთეკაში სამეცნიერო ლიტერატურაზე მუშაობასა და ფონდებში დაცული მასალების კვლევას - ნოქალაქევის ნაქალაქარიდან მოპოვებული თითოეული ნივთი აღიწერა, აიზომა და მოხდა ფოტო-ფიქსაცია. ასევე ქუთაისისა და ვანის მუზეუმებში დაცული მასალის აღწერა და ფოტოგრაფირება.

აღნიშნული კვლევის საფუძველზე შევეცადეთ დაგვედგინა და გამოგვეყო ელინისტურ ხანაში შემოსული ახლი ფორმები და მათი გავრცელების არეალი; წინა პერიოდიდან შემორჩენილი ფორმებისა და გაფორმების ტიპების ტრანსფორმაცია და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მოხდა სამოსახლოს ტიპის და ხანგრძლობის დადგენა. მასალის კომპლექსურმა შესწავლამ აშკარად აჩვენა, რომ ელინისტურ ხანაში ნოქალაქევის ნაქალაქარზე აქტიური ცხოვრება მიმდინარეობდა, რასაც მოწმობს იქ გამოვლენილი მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი კერამიკული ჭურჭელი, რომელიც იმდროინდელი საზოგადოების მიერ გამოიყენებოდა.

სამომავლოდ, მნიშვნელოვანია ჩატარდეს ნოქალაქევში გამოვლენილი კერამიკული ჭუჭლის პეტროლოგიური ანალიზი და ამასთანავე, კვლევის სრულყოფის მიზნით, ნოქალაქევში გამოვლენილი ძვ.წ. I ათასწლეულის კოლხური კერამიკული ჭურჭლის შესწავლა მოხდეს ერთიან კონტექსტში.

საძიებო სიტყვები: ელინიზმი, კოლხეთი, ნოქალაქევი, კერამიკა

Abstract

This thesis is dedicated to the comprehensive study of the Colchian local ceramic ware of Hellenistic time. During the study ceramic materials have been divided according to their purpose, and grouped according to their types. The current work describes Ceramic materials unearthed from the Hellenistic settlement and burials by Anglo-Georgian archaeological expedition to Nokalakevi in 2003-2019 years. Also, from the different sites of the ancient Colchis, which are located in modern Western Georgia.

The research was carried out in several stages. The first stage covered gathering of the scholarly bibliography – collecting all scientific research on the Hellenistic ceramic materials of the Colchis; Second stage of the research included work on archaeological materials and was conducted n the archaeological funds of Nokalakevi (Georgian National Museum), Vani and Kutaisi – description, measuring off, photography of the materials.

In this research we tried to discover new shapes of the ceramic ware and the areas where they were spread. We also tried to find out if the shapes that were created n earlier times still continued existing, and if this was the case, how they are represented in Hellenistic time ceramics. The examination of the ceramic materials confirms that the life on the Nokalakevi settlement was continuous in Hellenistic period – rich and numerous and multifarious ceramic vessels represents the style and intensity of the local people life in the Hellenistic period.

It is important to continue study of te Hellenistic pottery of Nokalakevi in future: to provide petrologic analysis of the pottery and to start complex study of the Nokalakevi Colchian ceramic ware of the 1st millennium BC in one context.

Key words: Hellenistic period,Colchis, Nokalakevi ceramic ware.